



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრი

სოციალური მენარგეოების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობაში

ლევან ზანიაშვილი
შოთა მურღულია

თბილისი
2010

I. სოციალური მენარმეობა

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე სულ უფრო ხშირად ისმის მცნება „სოციალური მენარმეობა“. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნეს მიდგომების გამოყენება სოციალური მიზნების მისაღწევად არ არის ახალი პრაქტიკა, თავად მცნება ახალია და მისი განმარტებებიც მრავალნაირია.

სოციალური მენარმეობა არის ბიზნესი სოციალური მისიისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ სოციალური მენარმეობა წარმოადგენს სამენარმეო ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით სოციალური მიზნების მიღწევის პროცესს. სოციალური საწარმოები იქმნება, რათა აღმოიფხვრას ვაკუუმი რომელსაც ტოვებს სახელმწიფო და კერძო სექტორი ქვეყანაში სხვადასხვა სოციალური თუ გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარების საკითხში. ასეთ საკითხებს სახელმწიფო ხშირ შემთხვევაში ვერ აგვარებს, რადგან არ გააჩნია სათანადო რესურსი (ფინანსური, ორგანიზაციული). კერძო სექტორი კი იმიტომ, რომ მათთვის როგორც წესი ნაკლებად მიმზიდველია ის სამოქმედო ველი და მასშტაბი, რომელსაც შემდგომ სოციალური საწარმოები იკავებენ.

განსხვავებით ჩვეულებრივი, მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული, საწარმოსაგან სოციალურ საწარმოს აქვს ორმაგ მიზანი: ეკონომიკური და სოციალური. ეკონომიკური მიზანი გახლავთ, მხოლოდ საშუალება მეორე უფრო მნიშვნელოვანი - სოციალური მიზნის მისაღწევად. აქედან გამომდინარე სოციალური საწარმოს მოგება არ იზომება მხოლოდ ფინანსური წარმატებით. გაცილებით მნიშვნელოვანია მისი წვლილი იმ სოციალური პრობლემის მოგვარებაში რისთვისაც იგი შეიქმნა.

სოციალური საწარმოს შექმნის ინიციატივა ხშირად საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან მოდის. ისინი იწყებენ საქმიანობას ან ორგანიზაციის შიგნით ან აფუძნებენ ორგანიზაციის დამხმარე საწარმოს, რათა უკეთესად უპასუხონ თავიანთი სამიზნე ჯგუფების საჭიროებებს და მიაღწიონ ორგანიზაციის სოციალურ მიზნებს.

მიუხედავ იმისა, რომ სოციალური მენარმეობის სამოქმედო არეალი მსოფლიოს მასშტაბით სულ უფრო და უფრო ფართოვდება, დღემდე არ არსებობს ტერმინის მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი განმარტება. სოციალურ მენარმეობას განსხვავებულად განმარტავენ, სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურა თუ ამ სფეროში მოღვაწე ორგანიზაციები. მაგრამ ყველა ამ განმარტებას აერთიანებს ის, რომ სოციალურ მენარმეობად მიიჩნევა ისეთი სამენარმეო საქმიანობა, რომლის მთავარი მიზანია პოზიტიური სოციალური (და გარემოსდაცვითი) ცვლილებები, და ის არ არის შექმნილი უპირატესად ამ ბიზნესის მფლობელთა მოგების მისაღწევად.

ევროპულმა კვლევითმა ქსელმა (European Research Network - EMES) შეიმუშავა გარკვეული კრიტერიუმები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სოციალური საწარმო. კრიტერიუმები ორ მიმართულებად არის დაყოფილი: ეკონომიკურ და სოციალურად.

ეკონომიკური კრიტერიუმები:

1. საქონლის ან მომსახურების უწყვეტი წარმოება / მიწოდება - სოციალურ საწარმოში აუცილებელია საქონლის ან სერვისის წარმოება/მიწოდება. ტრადიციული საზოგადოებრივი ორგანიზაციისგან განსხვავებით, სოციალურ საწარმოს არ გააჩნია ადვოკატირების და ლობირების ფუნქცია. ის არ არის ფონდი, რომ დააფინანსოს სხვადასხვა ინიციატივები. აქედან გამომდინარე, მათთვის ეს კომპონენტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

2. დამოუკიდებლობის ხარისხი - სოციალური მენარმე დამოუკიდებელი უნდა იყოს თავის გადანყვეტილებაში. შესაძლოა ის დამოკიდებული იყოს სახელმწიფო სუბსიდიებზე, მაგრამ არ უნდა იყოს მართული პირდაპირ ან არაპირდაპირ სახელმწიფო სტრუქტურების ან სხვა ორგანიზაციების (ფედერაციები, კერძო ფირმები) მხრიდან.

3. ეკონომიკური რისკის გარკვეული ხარისხი - სოციალური სანარმოს დამაარსებლები თავიანთ თავზე იღებენ გარკვეულ რისკს სრულად ან ნაწილობრივ. სახელმწიფო სტრუქტურები-საგან განსხვავებით, მათი ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია მათი წევრების და სანარმოში მომუშავე ხალხის ძალისხმევაზე.

4. დამოკიდებულება ანაზღაურებადი სამუშაოს მიმართ - როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემთხვევაში, სოციალურ სანარმოშიც შესაძლებელია როგორც ანაზღაურებადი პერსონალის ჩართვა, ასევე გამოყენებულ იქნეს მოხალისეობრივი შრომა.

სოციალური კრიტერიუმები:

1. ნათელი მიზანი, რომელიც ფოკუსირებულია საზოგადოების კეთილდღეობაზე - სოციალური სანარმოს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, ემსახუროს საზოგადოებას ან კონკრეტულ სამიზნე ჯგუფს, რომელთაც გააჩნიათ საერთო საზოგადოებრივი საჭიროებები და არა გარკვეული ინდივიდების პირად ინტერესებს.

2. ინიციატივას მხარს უნდა უჭერდეს მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფი - სოციალური სანარმო არის თემის ან კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებში შემავალი ხალხის, რომლებიც იზიარებენ სანარმოს მიზნებს, კოლექტიური შრომის შედეგი. ეს კოლექტიური სული მუდმივად უნდა თან სდევდეს სანარმოს, იმის გათვალისწინებით, რომ შენარჩუნდეს ლიდერობის სულისკვეთება.

3. გადანყვეტილების მიღების ძალაუფლება არ უნდა ეფუძნებოდეს კაპიტალის მფლობელობას - ძალაუფლება არ არის განანილებული კაპიტალის შესაბამისად. გადანყვეტილებები მმართველ რგოლში არის გაზიარებული და დაინტერესებულ პირთა მონაწილეობა ძალიან მაღალია.

4. საერთო გარემო, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა მაღალ ჩართულობას - გადანყვეტილების მიღების პროცესში მომხმარებელთა, ბენეფიციართა და დაინტერესებულ პირთა ჩართულობის დონე - სოციალური სანარმოს მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

5. მოგების შეზღუდული განაწილება - სოციალურ სანარმოს მიეკუთვნება არა მხოლოდ ის ორგანიზაცია, რომელიც სრულად გამოირიცხავს მოგების განაწილებას, არამედ ის ორგანიზაციაც, სადაც შესაძლოა არსებობდეს მოგების მცირე ნაწილის გადანაწილება.

სოციალური მენარმეობა გავრცელებული და მზარდი ფენომენია ევროპაში; მათ განიცადეს ეტაპობრივი ინსტიტუციონალიზაცია და პოლიტიკური აღიარება, მათ შორის სპეციალური სამართლებრივი ფორმების განვითარების გზით.

სოციალური სანარმოზე საუბრისას არ უნდა შემოვიზღუდოთ რომელიმე კონკრეტული იურიდიული ფორმით, არ უნდა მოვაქციოთ იგი ორგანიზაციულ-იურიდიული ფორმების ჩარჩოებში. იგი უფრო მსოფლმხედველობისა და ხედვის საგანს წარმოადგენს და კანონით დაშვებული ნებისმიერი ორგანიზაციულ-იურიდიული ფორმით შეუძლია არსებობა.

შეიძლება ითქვას რომ ევროპაში მოქმედი სოციალური სანარმოების უმეტესობა მოქმედებს მესამე სექტორის ტრადიციულ სამართლებრივ გარემოში. ისინი იქმნებიან ასოციაციების სახით იმ ქვეყნებში, სადაც კანონი ამ სექტორს საშუალებას აძლევს გარკვეულ დონეზე ანარმოოს პროდუქტების და სერვისების გაყიდვა ბაზარზე. იმ ქვეყნებში სადაც კანონი უფრო მკაცრია და ზღუდავს მესამე სექტორის ეკონომიკურ საქმიანობას (მაგ. ჩრდილო ევროპულ ქვეყნებში) სოციალური სანარმოები იქმნება კოოპერატივების სახით.

ძალიან ბევრ ქვეყანაში არ არსებობს სოციალური სანარმოს ზუსტი იურიდიული ფორმა. პოლონეთსაც და გაერთიანებულ სამეფოსაც აქვთ მცდელობები შექმნან ახალი იურიდიული ფორმები, იქნება ეს საზოგადოებრივი ინტერესის ორგანიზაციები, თუ საზოგადოებრივი ინვესტიციის კომპანიები, მაგრამ კრიტიკოსები შენიშნავენ რომ არც ერთ მათგანი არ ქმნის მკაფიო სტრუქტურას სოციალური მენარმეობის სამომავლო განვითარებისთვის.

სხვაგან სოციალურ სანარმოებს უხდებათ არჩევანი გააკეთონ არსებული იურიდიული ფორმების ფართო სპექტრიდან. მომგებიანი ორგანიზაციებიდან დაწყებული საქველმოქმედო ორგანიზაციებით დამთავრებული.

II. სოციალური მენარმეობა საქართველოს კანონმდებლობაში

საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ცნებებს „სოციალური მენარმეობა“ და „სოციალური სანარმო“, შესაბამისად, არც განსაკუთრებული სპეციფიკური რეგულაციები და წესები ასეთი ორგანიზაციული წარმონაქმნების დაფუძნება-საქმიანობის შესახებ არ არის დადგენილი. მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონმდებლობა იძლევა იმის შესაძლებლობას რომ დაინტერესებულმა სუბიექტმა დააფუძნოს ისეთი წარმონაქმნები, რომელიც თავისი არსით შეიძლება ძირითადად აკმაყოფილებდეს სოციალური სანარმოსათვის დამახასიათებელ კრიტერიუმებს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამენარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. სამენარმეო საქმიანობის წარმოება შეიძლება მოხდეს სამი ძირითადი ფორმით: არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბაზაზე, სამენარმეო იურიდიული პირის დაფუძნებით ან იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე (ინდივიდუალური მენარმე).

იმაზე, თუ სამენარმეო საქმიანობის წარმოების რომელი ფორმა იქნება არჩეული, დამოკიდებულია მისი დაფუძნების, საკუთრებისა და შემოსავლების გამოყენების მიზნობრიობის, აგრეთვე ამა თუ იმ სუბიექტის საგადასახადო დაბეგვრის სპეციფიკები.

ამა თუ იმ ორგანიზაციული წარმონაქმნის თუ სამენარმეო სუბიექტის დაფუძნება-რეგისტრაციის სამართლებრივმა ბაზამ საქართველოში განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო. უკანასკნელი ეტაპი 2006 -2009 წლებში განხორციელდა, რომელმაც არსებითად ლიბერალური გახადა დაფუძნება-რეგისტრაციის წესები და პროცედურები. ძირითადი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არეგულირებს ამ საკითხებს არის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში კანონმდებლობაში შევიდა მთელი რიგი ცვლილებები და დამატებები, რომლებმაც არსებითად გაამარტივა არასამენარმეო და სამენარმეო იურიდიული პირების, აგრეთვე ინდივიდუალური სანარმოების დაფუძნება-რეგისტრაციის წესები და პროცედურები.

რაც შეეხება საგადასახადო რეგულირებას ამ მხრივაც კანონმდებლობამ განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო. 2010 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც ძალაში შედის 2011 წლის 1 იანვარს. ახალი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს განსაზღვრულ საგადასახადო შეღავათებს ერთი მხრივ - არაორგანიზაციული ფორმის სამენარმეო სუბიექტებისთვის (ინდივიდუალური მენარმეები, მენარმე ფიზიკური პირები), აგრეთვე არასამენარმეო ორგანიზაციებისათვის. მსგავსად მოქმედი საგადასახადო კოდექსისა, ახალ კოდექსშიც არის გათვალისწინებული განსაზღვრული საგადასახადო შეღავათები არაეკონომიკური საქმიანობის წარმოებისათვის (ქონების გადასახადი), და მათ მიერ მიღებულ განსაზღვრული სახის არაეკონომიკური შემოსავლებზე (გრანტი, შემონიშნულობა, სანევრო შენატანები). მეორე მხრივ - მოქმედ და მომავალ საგადასახადო კოდექსში არის დისკრიმინაციული მიდგომა არასამენარმეო ორგანიზაციების მიერ მიღებულ პასიურ ეკონომიკურ საქმიანობაზე (დივიდენდი). ამ ეტაპზე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არ შეიძლება განხილული იქნეს როგორც სოციალური მენარმეობის განვითარების მასტიმულირებელი, არამედ განსაზღვრულ ნაწილში ის პირიქით ხელს უშლის ასეთი საქმიანობის სტიმულირებას.

III. სოციალური მენარმეოს ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმაში

არასამენარმეო და სამენარმეო სუბიექტების თავისებურებები

სამენარმეო საქმიანობის განმარტებას იძლევა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც სამენარმეო საქმიანობას განმარტავს, როგორც - მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. ამავე დროს, კანონი განსაზღვრავს ისეთი სახის საქმიანობებს რომელიც არ ჩაითვლება სამენარმეო საქმიანობად და შესაბამისად არ არის აუცილებელი სამენარმეო სუბიექტის შექმნა. კერძოდ, სამენარმეო საქმიანობად არ ჩაითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტორული, საადვოკატო და სანოტარო, სააუდიტო, სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა. თუმცა სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოებები შეიძლება არსებობდეს განსაზღვრული სამენარმეო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, თუ მათი მფლობელი რეგისტრაციაში გატარდება. რეგისტრაცია სავალდებულოა, თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებულია მფლობელის ოჯახის არანეკრი ხუთი პირი მინც.

სამენარმეო საქმიანობის წარმოება შეიძლება მოხდეს იურიდიული პირის დაფუძნების ან მისი დაფუძნების გარეშე. კერძოდ:

1. არასამენარმეო იურიდიული პირი - სამენარმეო საქმიანობის წარმოება შეიძლება მოხდეს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბაზაზე. ანუ არასამენარმეო იურიდიულმა პირმა უშუალოდ აწარმოოს დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქმიანობა;
2. სამენარმეო იურიდიული პირი - დაფუძნდეს ცალკე სამენარმეო იურიდიული პირი, რომლის დამფუძნებელი შეიძლება იყოს როგორც სხვა იურიდიული პირი (მათ შორის არასამენარმეო იურიდიული პირი) ისე ფიზიკური პირიც;
3. არაორგანიზაციული წარმონაქმნი - სამენარმეო საქმიანობის წარმოება მოხდეს ორგანიზაციული წარმონაქმნის - იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე. ასეთ სამენარმეო სუბიექტს წარმოადგენს ინდივიდუალური მენარმე.

საქართველოს კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განსხვავებს სამენარმეო და არასამენარმეო იურიდიულ პირებს. მათი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი სწორედ საქმიანობის მიზანი არის. კერძოდ:

1. არასამენარმეო იურიდიული პირი არის ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც იქმნება უპირატესად არასამენარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით. ანუ მათი მიზანი არ არის მოგების მიღება და იგი ორგანიზაციის მიზნების განხორციელების საშუალება უნდა იყოს. თუმცა საქართველოს კანონმდებლობა არასამენარმეო იურიდიულ პირებს აძლევს უფლებას აწარმოონ დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქმიანობა, განსაზღვრული პირობების დაცვით.

სამენარმეო იურიდიული პირი არის ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც იქმნება სამენარმეო (კომერციული) საქმიანობის განსახორციელებლად და მისი უპირატესი მიზანი მოგების მიღებაში მდგომარეობს.

არასამენარმეო და სამენარმეო სუბიექტების თავისებურებები

სუბიექტი	თავისებურება
<p align="center">არასამენარმეო იურიდიული პირი</p>	იქმნება არასამენარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით
	დაფუძნებისა და რეგისტრაციის პროცედურების სიმარტივე და ხელმძღვანელობითი სისტემის განსაზღვრის სრული ავტონომია
	უფლება აქვს განახორციელოს დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქმიანობა, თუმცა მიღებული მოგება უნდა მოახმაროს ორგანიზაციის მიზნების განხორციელებას
	ქონებისა განკარგვის შესაძლებლობა მხოლოდ ორგანიზაციის მიზნების განხორციელების მიზნით
	შესაძლებლობა აქვს მიიღოს არასამენარმეო/არაეკონომიკური შემოსავლები (გრანტები, შემოწირულობები, სანევრო შენატანები)
	სამენარმეო საქმიანობის განხორციელების ნაწილში ექცევა სამენარმეო სუბიექტის საგადასახადო რეჟიმში
	აქვს საგადასახადო შეღავათები არასამენარმეო საქმიანობის განხორციელებასა და განსაზღვრული სახის არასამენარმეო შემოსავლებზე (გრანტი ქონების გადასახადი, დღგ, საბაჟო გადასახადი, მოგების გადასახადი)
	სხვა სუბიექტებთან შედარებით დისკრიმინაციულ საგადასახადო რეჟიმშია სხვა საწარმოდან დივიდენდების მიღების დროს (იხდის უფრო მაღალ გადასახადს დივიდენდზე)
	ერთი ორგანიზაციის პირობებში რთულდება არასამენარმეო და სამენარმეო საქმიანობების გამიჯვნა და მენეჯმენტი
	აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მიღების შესაძლებლობა
	დაუშვებელია მისთვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა (რე-ორგანიზაცია სამენარმეო იურიდიულ პირად)
	ლიკვიდაციის დროს ქონების განაწილებაზე დაწესებულია შეზღუდვები (ქონების განაწილების დაუშვებლობა დამფუძნებლებსა და წევრებს შორის)
	ორგანიზაციის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით, დამფუძნებლები/წევრები პასუხს არ აგებენ ორგანიზაციის ვალდებულებებისთვის და პირიქით
<p align="center">სამენარმეო იურიდიული პირი</p>	იქმნება სამენარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით
	დაფუძნება-რეგისტრაციის პროცესის სიმარტივე
	თავისუფალია მიღებული შემოსავლების ხარჯვის მიზნობრიობის განსაზღვრაში
	საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არის სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმის საწარმოს დაფუძნების შესაძლებლობა (შპს, სს, სპს, კს, კოოპერატივი)
	სამენარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნიდან გამომდინარე ფინანსების მენეჯმენტის სიმარტივე
	შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს არასამენარმეო/არაეკონომიკური შემოსავლები (გრანტები, შემოწირულობები, სანევრო შენატანები)
	სხვა საწარმოდან მიღებული დივიდენდი არ ეთვლება საერთო შემოსავლებში და შესაბამისად არ იბეგრება
	საწარმო პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, დამფუძნებლების პასუხისმგებლობა უმეტეს შემთხვევაში შემოიფარგლება მხოლოდ თავისი შენატანით საწარმოში
	უმეტეს შემთხვევაში თავისუფალია დივიდენდების განაწილების სისტემის განსაზღვრაში
	ლიკვიდაციის დროს დარჩენილი ქონების განაწილების თავისუფლება
	სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამენარმეო სუბიექტად გარდაქმნის შესაძლებლობა

ინდივიდუალური მენარმე	რეგისტრაციის პროცედურების სიმარტივე და სიიარაღე სხვა სუბიექტებთან შედარებით
	სამართლებრივ ურთიერთობაში გამოდის თავისი სახელით როგორც ფიზიკური პირი და პირადად მთელი თავისი ქონებით (როგორც ფიზიკური პირი) აგებს პასუხს ვალდებულებებზე
	სხვა სანარმოოდან მიღებული დივიდენდი ეთვლება საერთო შემოსავლებში და იბეგრება გადასახადით (იმაზე დაბალი განაკვეთით ვიდრე არასამენარმეო იურიდიული პირი, ხოლო 2014 წლიდან ნულოვანი განაკვეთით)
	განსხვავებით მენარმე იურიდიული პირებისაგან, არ წარმოადგენს იურიდიულ პირს და არის საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი (ამ 2014 1 იანვრამდე საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 20-18% შეადგენს, ხოლო მოგების გადასახადი უკვე 15%-ია)
	2011 წლის 1 იანვრამდე თუ არ ხდება დაქირავებული შრომის გამოყენება კანონით პირდაპირ განსაზღვრული საქმიანობებიდან მიღებულ შემოსავლები გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან
	2011 წლის 1 იანვრიდან მიკრო ან მცირე ბიზნესის სტატუსის მიღების შესაძლებლობა, რაც თავის მხრივ უკავშირდება შეღავათებს საშემოსავლო გადასახადზე

არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნება-რეგისტრაცია

ძირითადი თავისებურებები

2006 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, არასამენარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით შექმნილ ორგანიზაციებს, *არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ეწოდებათ*. აღარ ხდება ამ პირების დაყოფა კავშირებად და ფონდებად, როგორც ეს ცვლილებებამდე ხდებოდა. თუმცა არასამენარმეო იურიდიული პირები შეიძლება იყვნენ ნევრობაზე დაფუძნებული ან არ იყვნენ ნევრობაზე დაფუძნებული.

არასამენარმეო იურიდიულ პირს აქვს ორი მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც განსხვავებს მას სამენარმეო სუბიექტებისაგან, აღნიშნული ერთი მხრივ ეხება სამენარმეო საქმიანობის წარმოების, ხოლო მეორე მხრივ საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების თავისუფლებას, მათ შორის ლიკვიდაციის დროს დარჩენილი ქონების განაწილებისას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში და რა მიზნით შეიძლება მოხდეს არასამენარმეო იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება, მაშინ როცა სამენარმეო სუბიექტები თავისუფლები არიან საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების მიზნობრიობის განსაზღვრაში. კერძოდ – არასამენარმეო იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამენარმეო იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მიუხედავად იმისა, რომ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები იქმნებიან არასამენარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობა მათ უფლებას აძლევს აწარმოონ დამხმარე ხასიათის სამენარმეო საქმიანობა, შემდეგი აუცილებელი პირობების დაცვით:

1. *სამენარმეო საქმიანობის განხორციელება არ უნდა იყოს აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით* – არასამენარმეო იურიდიულ პირს უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა მიუხედავად იმისა ეს გათვალისწინებულია თუ არა მის წესდებაში. მთავარია ორი ძირითადი საკითხის გათვალისწინება: პირველი – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ზოგიერთი საქმიანობის განხორციელება საერთოდ აკრძალულია ან მისი განხორციელება დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის ან/და ნებართვის

- აღების შემდეგ; მეორე – კონკრეტული საქმიანობის განხორციელება უნდა ხდებოდეს თავად ორგანიზაციის შიგნით დადგენილი წესების შესაბამისად (უფლებამოსილი პირის მიერ გადანყვეტილების მიღება კონკრეტული საქმიანობის განხორციელების შესახებ და სხვა);
2. *სამენარმეო საქმიანობა უნდა იყოს დამხმარე ხასიათის – არასამენარმეო იურიდიული პირი იქმნება არასამენარმეო, არამომგებიანი საქმიანობის განხორციელების მიზნით. შესაბამისად, სამენარმეო საქმიანობის განხორციელება უპირატესად ორგანიზაციისათვის დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის საშუალება უნდა იყოს, სანესდებო მიზნების მიღწევისათვის და არა ძირითადი მიზანი. ამასთან ერთად, სამენარმეო საქმიანობა უნდა ატარებდეს დამხმარე ხასიათს და ორგანიზაცია არსებითად არ უნდა გადავიდეს სამენარმეო საქმიანობის განხორციელებაზე. საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა პირდაპირ განმარტებას, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს სამენარმეო საქმიანობის განხორციელებაზე არსებითად გადასვლად. თუ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არსებითად გადავიდა სამენარმეო საქმიანობაზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურის ან/და დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე განიხილავს და წყვეტს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის საკითხს.*
 3. *სამენარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს არასამენარმეო იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას – არასამენარმეო იურიდიული პირი იქმნება კონკრეტული საზოგადოებრივად სასარგებლო არასამენარმეო/არამომგებიანი საქმიანობის განხორციელების მიზნით, შესაბამისად, სამენარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს სწორედ ამ მიზნების განხორციელებას. ბუნებრივია ეს ერთის მხრივ სანესდებო მიზნებს გულისხმობს, ხოლო მეორე მხრივ მასში შეიძლება მოიაზრობდეს სანესდებო მიზნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივად სასარგებლო სხვა საქმიანობებიც. მიუხედავად იმისა რომ საქართველოს კანონმდებლობა ამის პირდაპირ მითითებას არ აკეთებს, მოგების გამოყენება შეიძლება აგრეთვე მოხდეს საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნების მისაღწევად წარმოებული აქტივობების მთელი პროცესის დროს საჭირო ხარჯების ასანაზღაურებლად (შრომის ანაზღაურება, ჰონორარი და სხვა).*
 4. *სამენარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილების დაუშვებლობა – დაუშვებელია სამენარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამენარმეო იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის. არასამენარმეო იურიდიული პირი არ არის მოგებაზე ორიენტირებული წარმონაქმნი და ბუნებრივია მასში სამენარმეო ორგანიზაციებში არსებული, დამფუძნებლებს/წევრებს შორის მოგების განაწილების მექანიზმი ვერ იმოქმედებს. ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის მოგების განაწილების აკრძალვა არ გულისხმობს იმას, რომ არ შეიძლება მოგების გამოყენება ორგანიზაციის თანამშრომლების, მათ შორის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს სახელფასო ფონდისთვის.*

დაფუძნება-რეგისტრაცია

სამოქალაქო კოდექსში შევიდა მთელი რიგი ცვლილებები და დამატებები, რომელმაც არსებითად გაამარტივა არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნებისა და რეგისტრაციის პროცედურები. განსხვავებით ძველი კანონმდებლობისაგან (რომელიც სავალდებულო მოთხოვნებს აწესებდა) ორგანიზაციის დამფუძნებელი თავისუფალია ორგანიზაციის ხელმძღვანელობითი სისტემისა და გადანყვეტილებების მიღების წესების განსაზღვრაში. სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ მიუთითებს იმ საკითხების ჩამონათვალს, რომელიც აუცილებლად უნდა განისაზღვროს და მიეთითოს ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტში/დოკუმენტებში. კერძოდ:

1. *იურიდიული პირის სახელწოდება და ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი)* - არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდება აუცილებლად უნდა აღნიშნავდეს ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისადმი მის კუთვნილებას. ამასთან მისი სახელწოდება არ უნდა ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდებას. აგრეთვე მის სახელწოდებაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამეწარმეო იურიდიული პირების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების, შემოქმედებითი კავშირებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის დამახასიათებელი აღნიშვნები. არასამეწარმეო იურიდიულ პირს აგრეთვე უნდა გააჩნდეს ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი). არასამეწარმეო იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი, მისი სხვა ადგილსამყოფელი ჩაითვლება მისი ფილიალის ადგილსამყოფლად.
2. *არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის მიზანი* - არასამეწარმეო იურიდიული პირი იქმნება განსაზღვრული საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად. ამიტომ არასამეწარმეო იურიდიული პირის დაფუძნებისას უნდა განისაზღვროს ის საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა, რომლის განხორციელების მიზნითაც იქმნება იგი. ამასთან ეს არ გამორიცხავს იურიდიული პირის უფლებას და შესაძლებლობას განხორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მათ შორის ისეთიც, რომელიც მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით არ არის განსაზღვრული.
3. *მონაცემები იურიდიული პირის დამფუძნებლის/წევრის (დამფუძნებლების/წევრების) შესახებ* - არასამეწარმეო იურიდიული პირის დამფუძნებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირი. ამასთან, დამფუძნებელი შეიძლება იყოს ერთი პირიც. თითოეული დამფუძნებლის/წევრის შესახებ მონაცემები შეიტანება ცალ-ცალკე;
4. *მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის შესახებ* - არასამეწარმეო იურიდიული პირის დაფუძნებისას აუცილებლად უნდა განისაზღვროს ის ორგანო (ორგანოები) ან/და პირი (პირები) რომელსაც გააჩნია ორგანიზაციის ხელმძღვანელობითი (მმართველობითი) ფუნქცია. სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქცია პირდაპირ განსაზღვრავდა ამა თუ იმ არასამეწარმეო იურიდიული პირისათვის აუცილებელ მმართველობით სისტემას. სამოქალაქო კოდექსითვე იყო განსაზღვრული ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელ ორგანოთა (პირთა) არჩევის წესი და ძირითადი ფუნქციები (მაგალითად, კავშირის აუცილებელ ორგანოს წარმომადგენდა გამგეობა, რომელიც აირჩეოდა 4 წლის ვადით). დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი ამ მხრივ გაცილებით ლიბერალურია და თავად არასამეწარმეო იურიდიული პირებს მიანდო თავისი ხელმძღვანელობითი სისტემის განსაზღვრის ფუნქცია. მთავარია, რომ განსაზღვრული იყოს არასამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელობასთან და წარმომადგენლობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: ა) რომელი ორგანო (ორგანოები) ან/და პირი (პირები) ახორციელებს (ახორციელებენ) არასამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელობით ფუნქციებს (მაგ. გამგეობა, დირექტორი); მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი პირის შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი); ბ) როგორია არასამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ორგანოების) შექმნის ან/და პირის (პირების) დანიშნის (არჩევის) წესი; გ) როგორია არასამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ორგანოების) ან/და პირის (პირების) უფლებამოსილებები და მათი ვადა; დ) რა წესისა და პროცედურების დაცვით ხდება არასამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ორგანოების) ან/და პირის (პირების) მიერ გადაწყვეტილების მიღება; ე) რომელი პირი (პირები) ახორციელებს არასამეწარმეო იურიდიული პირის წარმომადგენლობის უფლებამოსილებას; მონაცემები წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), დაბადების ადგილი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი);

ვ) როგორია არასამენარმეო იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადა.

5. მონაცემები იურიდიული პირის წევრობის შესახებ - თუ არასამენარმეო იურიდიული პირი წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირია, აუცილებელია, მისი დაფუძნებისას განისაზღვროს თუ როგორ ხდება ორგანიზაციის წევრად მიღება, რა წესით, როგორ და ვინ იღებს ასეთ გადაწყვეტილებას, აგრეთვე უნდა განისაზღვროს პირის ორგანიზაციის წევრობიდან გარიცხვის წესები.

მონაცემები რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის შესახებ - არასამენარმეო იურიდიული პირის დაფუძნების დროს უნდა განისაზღვროს ორგანიზაციის შიგნით რომელი ორგანო ან პირი იღებს გადაწყვეტილებას იურიდიული პირის რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ, აგრეთვე, როგორი წესითა და პროცედურებით ხდება ასეთი გადაწყვეტილების მიღება. ამასთან შესაძლებელია, რომ იურიდიული პირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციისათვის არ დადგინდეს რაიმე განსაკუთრებული წესები და პროცედურები, ასეთ შემთხვევაში იმოქმედებს ორგანიზაციაში ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი ორგანოს (პირის) მიერ გადაწყვეტილების მიღების ზოგადი წესები და პროცედურები.

არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნება-რეგისტრაცია

დაფუძნება	რეგისტრაცია	სარეგისტრაციო დოკუმენტები
დამფუძნებელი შეიძლება იყოს ფიზიკური და იურიდიული პირი. ამასთან, ორგანიზაციის დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც	რეგისტრაციას ახდენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურები	სადამფუძნებლო დოკუმენტი (დამფუძნებელთა შეთანხმება/წესდება, ოქმი)
ორგანიზაციის დაფუძნებისთვის არ არის სავალდებულო სადამფუძნებლო ქონების ქონა	სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია ერთიანი პროცესია და ერთდროულად ხდება	დოკუმენტი ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირის არჩევის/დანიშვნის შესახებ
დამფუძნებელი თავისუფალია ხელმძღვანელობითი სისტემის განსაზღვრაში. არ არის დადგენილი სავალდებულო ორგანოების/ ხელმძღვანელი პირების ჩამონათვალი	საქართველოში რეგისტრირებული არასამენარმეო იურიდიული პირების ფილიალების რეგისტრაცია აღარ ხდება. უცხო ქვეყნის იურიდიული პირების ფილიალების რეგისტრაცია სავალდებულოა და მას ახდენს რომელსაც ახდენს საჯარო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები	ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერის ნიმუში
დამფუძნებელი თავისუფალია გადაწყვეტილების მიღების წესების განსაზღვრაში. აგრეთვე ამა თუ იმ ორგანოების/პირების და უფლებამოსილების ვადების განსაზღვრაში	სარეგისტრაციო დოკუმენტების დამონება შეიძლება მოხდეს საჯარო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურებშივე	ცნობა იურიდიული მისამართის შესახებ (ადგილსამყოფელით სარგებლობის ხელშეკრულება ან მესაკუთრის თანხმობა)
	რეგისტრაციის ზოგადი ვადაა 1 სამუშაო დღე (100 ლარი), ან რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს განცხადების შეტანის დღესვე (200 ლარი)	მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
სარეგისტრაციო დოკუმენტების დამონება შეიძლება მოხდეს ნოტარიუსთან, ან ისინი შეიძლება პირდაპირ დამონმდეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იმ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში სადაც ხდება დოკუმენტების წარდგენა.		

მენარმე სუბიექტების დაფუძნება-რეგისტრაცია

სამენარმეო სუბიექტების დაფუძნება-რეგისტრაციის პროცესის მარეგულირებელი მოქმედი საკანონმდებლო ბაზა საქართველოში საკმაოდ ლიბერალურია. განსაზღვრული იმპერატიული მოთხოვნების გარდა, კანონმდებლობა დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას აძლევს პარტნიორთა შეთანხმებით/წესდებით დაარეგულირონ საწარმოს საქმიანობასთან და პარტნიორობის ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები. აგრეთვე, გამარტივებულია სამენარმეო სუბიექტების რეგისტრაციის ვადები.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სამენარმეო საქმიანობის სუბიექტთა 6 სამართლებრივ ფორმას, რომლებიც ერთმანეთისაგან ძირითადად განსხვავდებიან ერთი მხრივ დაფუძნებისა და ორგანიზაციული მოწყობის სპეციფიკებით, მეორე მხრივ სამართლებრივ ურთიერთობებში მათი პასუხისმგებლობის მოცულობითა და საგადასახადო დაბეგვრის სპეციფიკებით. მენარმე სუბიექტები არიან:

1. ინდივიდუალური მენარმე;
2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს);
3. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს);
4. კომანდიტური საზოგადოება (კს);
5. სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია);
6. კოოპერატივი.

მენარმე სუბიექტების დახასიათება და რეგისტრაცია

მენარმე სუბიექტი	დახასიათება	წარსადგენი დოკუმენტები
ინდივიდუალური მენარმე	<ul style="list-style-type: none"> • არ წარმოადგენს იურიდიულ პირს და ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით როგორც ფიზიკური პირი; • სამენარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით; • არაორგანიზაციული მოწყობიდან გამომდინარე მარტივია გადაწყვეტილების მიღება; • განსაზღვრულ პირობის დაცვის შემთხვევაში ექცევა შეღავათიან საგადასახადო რეჟიმში; • იურიდიული პირებისაგან განსხვავებით რეგისტრაციის გაუქმების პროცედურები უფრო მარტივია. 	<p><i>განცხადება – რომელშიც უნდა მიეთითოს: განმცხადებლის სახელი; ინფორმაცია საწარმოს ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) შესახებ; განმცხადებლის პირადი ნომერი; განცხადების შევსების თარიღი; განმცხადებლის ხელმოწერა.</i></p> <p><i>პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.</i></p> <p><i>მომსახურების გადახდის დოკუმენტი – ერთ სამუშაო დღეში რეგისტრაციისთვის 20 ლარი, დოკუმენტების წარდგენის დღესვე რეგისტრაციისთვის 50 ლარი.</i></p>
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)	<ul style="list-style-type: none"> • წარმოადგენს იურიდიულ პირს და მისი დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც (როგორც იურიდიულ ისე ფიზიკურ პირს). • გააჩნია სანესდებო კაპიტალი და იგი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით. შენატანი შეიძლება იყოს მატერიალური ან არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების განევა. 	<p><i>ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი სარეგისტრაციო განაცხადი (რომელიც იმავდროულად არის პარტნიორთა შეთანხმების/წესდების ნაწილი), რომელშიც უნდა მიეთითოს:</i></p> <ul style="list-style-type: none"> • საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდება; • საწარმოს სამართლებრივი ფორმა; • საწარმოს იურიდიული მისამართი; • საწარმოს პარტნიორის (პარტნიორების) საიდენტიფიკაციო მონაცემები;

<p>შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)</p>	<ul style="list-style-type: none"> • სანარმოს პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. • პარტნიორები სანარმოს ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე არ აგებენ პასუხს, გარდა იმ შემთხვევებისა როცა ისინი ბოროტად იყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას. • პარტნიორებს მათი შენატანის/წილის პროპორციული უფლება-ვალდებულებები გააჩნიათ თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. • პარტნიორები თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. • სანარმოს დირექტორის/დირექტორების რაოდენობა, კომპეტენცია და პასუხისმგებლობის მოცულობა განისაზღვრება წესდებით. • პარტნიორის წილი შეიძლება თავისუფლად გასხვისდეს/დატვირთოს ან მემკვიდრეობით გადაეცეს სხვა პირს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. 	<ul style="list-style-type: none"> • სანარმოს მმართველობის ორგანო, გადანაცვებილების მიღების წესი, ნოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – მონაცემები შპს-ის პარტნიორთა/კომანდიტთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ; • კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – რომელი პარტნიორია შეზღუდული და რომელი – სრული; • შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – შპს-ის პარტნიორთა/კომანდიტთა წილებზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებები; • სანარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი; • პროკურისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი; • თუ სანარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი ჰყავს – ისინი ერთად წარმოადგენენ სანარმოს თუ ცალ-ცალკე; • სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები. <p><i>მომსახურების გადახდის დოკუმენტი – ერთ სამუშაო დღეში რეგისტრაციისთვის 100ლარი, დოკუმენტების წარდგენის დღესვე რეგისტრაციისთვის 200 ლარი.</i></p> <p><i>დოკუმენტებზე ხელმოწერების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (თუ სარეგისტრაციო სამსახურში ხდება ხელმოწერა)</i></p> <p><i>თუ პარტნიორი არის უცხო ქვეყნის იურიდიული პირი მისი იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები დამონმებული უნდა იყოს აპოსტილით ან ლეგალიზებული უნდა იყოს სათანადო წესით.</i></p>
<p>სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)</p>	<ul style="list-style-type: none"> • წარმოადგენს იურიდიულ პირს და იგი უნდა დააფუძნოს რამდენიმე პირმა (როგორც იურიდიულმა ასევე ფიზიკურმა პირმა). • პარტნიორები სანარმოს ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. • პარტნიორებს მათი შენატანის/წილის პროპორციული უფლება-ვალდებულებები გააჩნიათ თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. 	

მენარმე სუბიექტი	დახასიათება	ნარს. დოკ.
<p>სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)</p>	<ul style="list-style-type: none"> • ხელმძღვანელობის უფლება აქვს ყველა პარტნიორს თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. • საწარმოდან პარტნიორის გასვლის შემდეგ მისი წილი ნაწილდება სხვა პარტნიორებს შორის. • საწარმოდან პარტნიორის გასვლამდე ან ახალი პარტნიორის მიღებამდე ხდება კრედიტორების ინტერესების დაცვის პროცედურების ამოქმედება (მსგავსად რეორგანიზაციის ღონისძიებებისა). • პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში მისი წილი გადადის მემკვიდრეობით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს გათვალისწინებულია წესდებით, ან თუ ყველა პარტნიორი თანახმაა (უარის შემთხვევაში მემკვიდრისთვის ხდება წილის ფინანსური კომპენსირება). 	
<p>კომანდიტური საზოგადოება (კს)</p>	<ul style="list-style-type: none"> • წარმოადგენს იურიდიულ პირს და იგი უნდა დააფუძნოს რამდენიმე პირმა, რომელთაგან ნაწილი არის შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები) ხოლო მეორე ნაწილი არის სრული პარტნიორები (კომპლომენტარები). • სრული პარტნიორები (კომპლომენტარები) საწარმოს კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. • შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები) საწარმოს კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ მხოლოდ მათ მიერ შეტანილი საგარანტიო თანხის ფარგლებში (საგარანტიო თანხის გადახდით). • წესდებით აუცილებლად უნდა განისაზღვროს შეზღუდული პარტნიორების (კომანდიტების) მიერ შესატანი საგარანტიო თანხის ოდენობა. • შეზღუდული პარტნიორი (კომანდიტი) სარგებლობს შეზღუდული უფლებებით და მას ხმის უფლება აქვს მხოლოდ წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში. • შეზღუდული პარტნიორის (კომანდიტს) წილი შეიძლება თავისუფლად გაასხვისოს ან მემკვიდრეობით გადაეცეს სხვა პირს სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. • საწარმოდან სრული პარტნიორის გასვლამდე ან ახალი პარტნიორის მიღებამდე ხდება კრედიტორების ინტერესების დაცვის პროცედურების ამოქმედება (მსგავსად რეორგანიზაციის ღონისძიებებისა). 	
<p>კომანდიტური საზოგადოება (კს)</p>	<ul style="list-style-type: none"> • საწარმოს ხელმძღვანელობის უფლება აქვს მხოლოდ სრულ პარტნიორებს (კომპლომენტარებს) შეზღუდულ პარტნიორებს (კომანდიტებს) ამის უფლება არ გააჩნიათ. 	
<p>სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია)</p>	<ul style="list-style-type: none"> • წარმოადგენს იურიდიულ პირს და მისი დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც (როგორც იურიდიულს ისე ფიზიკურ პირს). • საწესდებო კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით. საწარმოს კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. • აქციონერები საწარმოს ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე არ აგებენ პასუხს, გარდა იმ შემთხვევებისა როცა ისინი ბოროტად იყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას. • აქციონერების ხმის უფლება და უფლება-მოვალეობები დამოკიდებულია აქციების სახეებზე/კლასებზე, რომელიც განისაზღვრება წესდებით. • საწარმოს ჰყავს დირექტორი/დირექტორები, თუმცა მათი ფუნქციები შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს. საწარმოს მმართველობითი სისტემა განისაზღვრება წესდებით. • აუცილებელ ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა სავალდებულოა კანონით დადგენილ შემთხვევებში. • აქციონერთა წილი მოგებაში განისაზღვრება აქციათა რაოდენობისა და კლასის შესაბამისად. • კანონმდებლობით მკაცრად არის რეგლამენტირებული საწარმოს მიერ აქციების გამოსყიდვის, სავალდებულო სატენდერო შეთავაზებისა და აქციათა სავალდებულო მიყიდვის წესები. • წესდებით დადგენილ შემთხვევებსა და წესით დასაშვებია კაპიტალის გაზრდა ახალი აქციების ან აქციებში კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით. 	

<p>კოოპერატივი</p>	<ul style="list-style-type: none"> • წარმოადგენს იურიდიულ პირს და მისი დაფუძნება შეუძლია როგორც იურიდიულ ისე ფიზიკურ პირს. • სანარმოს ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი უპირატესად არ არის მიმართული მოგების მიღებაზე. • კოოპერატივის ყველა წევრი ვალდებულია კოოპერატივში შეიტანოს პაი. კოოპერატივის წევრის მინიმალური პაის ოდენობას განსაზღვრავს დამფუძნებლები. • კოოპერატივის ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე პაი. • კოოპერატივი კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. კოოპერატივის წევრები კოოპერატივის ვალდებულებებისთვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ. • კოოპერატივის წევრს მათი შენატანის/წილის პროპორციული უფლება-ვალდებულებები გააჩნიათ თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. • სავალდებულო ორგანოებს წარმოადგენს საერთო კრება, განსაზღვრულ შემთხვევებში წარმომადგენელთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო და გამგეობა/დირექტორები. • კოოპერატივის წევრს უფლება აქვს თავისი პაი გადასცეს სხვა პირს (განკარგოს) თუ წესდებით სხვა პირობები არ არის დადგენილი. • წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კოოპერატივის წევრის გარდაცვალების შემდეგ კოოპერატივის წევრი შეიძლება გახდეს მისი მემკვიდრე. • კოოპერატივის ყოველ წევრს აქვს კოოპერატივიდან გასვლის უფლება წესდებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. 	
<p><i>მენარმე სუბიექტების რეგისტრაციას ახდენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები სუბიექტის ადგილსამყოფელის მიხედვით. სარეგისტრაციო დოკუმენტების დამონება შეიძლება მოხდეს ნოტარიუსთან, ან ისინი შეიძლება პირდაპირ დამონმდეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იმ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში სადაც ხდება დოკუმენტების წარდგენა. რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო ისე საგადასახადო რეგისტრაციას.</i></p>		

არასამენარმეო იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს არასამენარმეო იურიდიული პირის რეორგანიზაციას მისთვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის გზით, ანუ მის გარდაქმნას სამენარმეო იურიდიულ პირად. თუმცა საქართველოს კანონმდებლობით დასაშვებია, არასამენარმეო იურიდიული პირის რეორგანიზაცია მისი დაყოფის (ორ ან მეტ არასამენარმეო იურიდიულ პირად) ან სხვა არასამენარმეო იურიდიულ პირთან გაერთიანების გზით (შერწყმა). არასამენარმეო იურიდიული პირების რეორგანიზაცია ხდება შემდეგი წესის შესაბამისად, კერძოდ:

1. **გადაწყვეტილების მიღება რეორგანიზაციის შესახებ** – არასამენარმეო იურიდიული პირის რეორგანიზაციისათვის აუცილებელია გადაწყვეტილება რეორგანიზაციის შესახებ. თუ ვინ იღებს და რა წესით გადაწყვეტილებას რეორგანიზაციის შესახებ უნდა განისაზღვრება სადამფუძნებლო/სარეგისტრაციო დოკუმენტებით. ასეთი გადაწყვეტილების მიმღებად შეიძლება განისაზღვროს არასამენარმეო იურიდიული პირის დამფუძნებლები/წევრები ან სადამფუძნებლო დოკუმენტებით განსაზღვრული სახვა უფლებამოსილი პირი/ორგანო. თუ რეორგანიზაციის შედეგად ხდება სხვა არასამენარმეო იურიდიულ პირთან გაერთიანება (შერწყმა), ამ შემთხვევაში საჭიროა ორივე იურიდიული პირის უფლებამოსილი პირის/ორგანოს გადაწყვეტილება რეორგანიზაციის შესახებ.
2. **რეორგანიზაციის შედეგად უფლებამონაცვლეობის საკითხის გადაწყვეტა** – არასამენარმეო იურიდიული პირი რომელმაც მიიერთა სხვა არასამენარმეო იურიდიული პირი (შერწყმა), არის ადრინდელი არასამენარმეო იურიდიული პირის უფლებამონაცვლე. გაყოფის შედეგად წარმოქმნილი არასამენარმეო იურიდიული პირები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი სანარმოს გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის.
3. **რეორგანიზაციის დაწყების რეგისტრაცია** – გადაწყვეტილება არასამენარმეო იურიდიული პირის რეორგანიზაციის შესახებ რეგისტრირდება მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრში, აგრეთვე ხდება კრედიტორების შეტყობინება რეორგანიზაციის პროცესის შესახებ.

შეტყობინების მიღებიდან რეორგანიზაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილი არიან, არასამენარმეო იურიდიულ პირს მოსთხოვონ ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულება.

4. რეორგანიზაციის რეგისტრაცია – რეორგანიზაცია არის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანის საფუძველი. არასამენარმეო იურიდიული პირების გაერთიანებისა და დაყოფის რეგისტრაცია ხორციელდება არასამენარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციისათვის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად. არასამენარმეო იურიდიული პირის რეორგანიზაციისას სავალდებულოა მარეგისტრირებელი ორგანოსთვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით გათვალისწინებული შედარების აქტის წარდგენა. თუ შედარების აქტიდან დგინდება საგადასახადო ორგანოს მიმართ იურიდიული პირის დავალიანების არსებობა, ეს არის რეორგანიზაციაზე მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ უარის თქმის საფუძველი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეორგანიზაციით არ მცირდება კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარი ან არსებობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა დავალიანების მქონე არასამენარმეო იურიდიული პირის რეორგანიზაციის შესახებ.

არასამენარმეო იურიდიული პირის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს როგორებიცაა ლიკვიდაციის პროცესის დაწყება და ლიკვიდაციის საფუძვლები, ლიკვიდატორების სტატუსი და მათი დანიშვნა, ლიკვიდაციისას ქონების განაწილების წესი და ლიკვიდაციის პროცესის დასრულება. არასამენარმეო იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესი მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

1. ლიკვიდაციის პროცესის დაწყება – არასამენარმეო იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების საფუძვლებია: ა) იურიდიული პირის დამფუძნებელთა/წევრთა გადაწყვეტილება ლიკვიდაციის შესახებ – იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს თავად იურიდიულმა პირმა. იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტით განსაზღვრება ორგანიზაციის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო და გადაწყვეტილების მიღების წესი; ბ) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ დანაშაულებზე, სისხლის სამართლის სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება სასჯელის სახით ლიკვიდაციის დანიშვნის შესახებ. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს (ლიკვიდატორებს), რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული პირის ლიკვიდაციას; გ) იურიდიული პირის გაკოტრება – არასამენარმეო იურიდიული პირის გაკოტრება წარმოადგენს ლიკვიდაციის საფუძველს. გადახდისუუნარობის საქმის წარმოება ხდება „გადახდისუუნარობის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად; დ) მარეგისტრირებელი ორგანოს მიმართვის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილება ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ – თუ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირობებს, ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, მარეგისტრირებელი ორგანო ნიშნავს ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მიცემულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო მიმართავს სასამართლოს რეგისტრირებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების მოთხოვნით. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს, რომელიც ახორციელებს ლიკვიდაციისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებს.
2. ლიკვიდატორების დანიშვნა – ლიკვიდაციის ახორციელებს არასამენარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები). განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სხვა ლიკვიდატორის დანიშვნის მოთხოვნით. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისას, ლიკვიდაციის ახორციელებს სასამართ-

ლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

3. ლიკვიდაციის პროცესი – დამფუძნებელთა/წევრთა გადანყვეტილება არასამენარმეო იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრში. არასამენარმეო იურიდიული პირის ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.
4. დარჩენილი ქონების განაწილება – ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირს რეგისტრაციის შესახებ სადამფუძნებლო/სარეგისტრაციო დოკუმენტებით განსაზღვრავენ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები/წევრები. ამასთან, სამოქალაქო კოდექსი კრძალავს, ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილებას არასამენარმეო იურიდიული პირის დამფუძნებლებს/წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის. თუ არასამენარმეო იურიდიული პირის დამფუძნებლებმა/წევრებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამენარმეო იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამენარმეო იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორებიც ლიკვიდირებულ არასამენარმეო იურიდიულ პირს. თუ ასეთი იურიდიული პირები არ არსებობს ან ასეთი იურიდიული პირების გამოვლენა შეუძლებელია, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადანყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან თვის შემდეგ.
5. ლიკვიდაციის პროცესის დასრულება – ლიკვიდაციის დამასრულებელი ეტაპია არასამენარმეო იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმება და სწორედ ამ მომენტიდან იურიდიული პირი ნყვეტს სამართლებრივად არსებობას. რეგისტრაციას აუქმებს მარეგისტრირებელი ორგანო იურიდიული პირის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე უფლებამოსილი პირის განცხადებისა და უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ გადანყვეტილების წარდგენის საფუძველზე.

სამენარმეო იურიდიული პირების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სამენარმეო იურიდიული პირების რეორგანიზაციასთან და ლიკვიდაციასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით. კანონში დეტალურად არის განერილი რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის გადანყვეტილების მიღების, ლიკვიდატორების დანიშვნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის პროცესი.

საქართველოს კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს, რომ ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სანარმო გარდაიქმნას სხვა სამართლებრივი ფორმის სანარმოდ, სანარმოებს შეუძლიათ გაერთიანდნენ ერთ სანარმოდ (შერწყმა) ან სანარმო შეიძლება გაიყოს ორ ან მეტ სანარმოდ. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამენარმეო იურიდიული პირის რეორგანიზაცია მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

1. გადანყვეტილების მიღება რეორგანიზაციის შესახებ – სამენარმეო იურიდიული პირის რეორგანიზაციისათვის აუცილებელია გადანყვეტილება რეორგანიზაციის შესახებ. თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სააქციო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ გადანყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%, ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი გადანყვეტილება მიიღება ერთხმად. ასეთ შემთხვევაში წესდებით უნდა მოხდეს პარტნიორთა უფლებამოსილებების ხელახალი

გადანაწილება, ამ სამართლებრივი ფორმისათვის დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით. სანარმოები შეიძლება გაერთიანდნენ (შერწყმა). სააქციო საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის შესახებ გადანყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%, ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი გადანყვეტილება მიიღება ერთხმად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. შერწყმის შესახებ გადანყვეტილებაში უნდა აღინიშნოს, ერთი სანარმო უერთდება მეორეს თუ ორი სანარმო ერთიანდება ერთ ახალ სანარმოდ. შერწყმის შესახებ გადანყვეტილებით უნდა განისაზღვროს პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი, თუ ისინი არ ხელმძღვანელობენ კაპიტალში მათი წილის პროპორციულობის პრინციპით. სანარმო შეიძლება გაიყოს ორ ან ორზე მეტ სანარმოდ და მათ საქმიანობა გააგრძელონ, როგორც დამოუკიდებელმა სანარმოებმა საკუთარი სამართლებრივი ფორმით. გაყოფის შესახებ გადანყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ადრინდელი პარტნიორები გაყოფის შედეგად წარმოქმნილ სანარმოში მონაწილეობდნენ სხვადასხვა წილობრივ საფუძველზე.

2. *რეორგანიზაციის შედეგად უფლებამონაცვლეობის საკითხის გადანყვეტა* – სანარმო, რომელმაც სანარმო მიიერთა, ან ახალშექმნილი სანარმო, არის ადრინდელი სანარმოს (სანარმოების) უფლებამონაცვლე. გაყოფის შედეგად წარმოქმნილი სანარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი სანარმოს გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის.
3. *რეორგანიზაციის დანყების რეგისტრაცია* – გადანყვეტილება სამენარმეო იურიდიული პირის რეორგანიზაციის შესახებ რეგისტრირდება მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრში, აგრეთვე ხდება კრედიტორების შეტყობინება რეორგანიზაციის პროცესის შესახებ. შეტყობინების მიღებიდან რეორგანიზაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილი არიან, სანარმოს მოსთხოვონ ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულება.
4. *რეორგანიზაციის რეგისტრაცია* – რეორგანიზაცია არის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანის საფუძველი. სამენარმეო იურიდიული პირების გარდაქმნის, გაერთიანებისა და დაყოფის რეგისტრაცია ხორციელდება სამენარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციისათვის „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. არასამენარმეო იურიდიული პირის რეორგანიზაციისას სავალდებულოა მარეგისტრირებელი ორგანოსთვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით გათვალისწინებული შედარების აქტის წარდგენა. თუ შედარების აქტიდან დგინდება საგადასახადო ორგანოს მიმართ იურიდიული პირის დავალიანების არსებობა, ეს არის რეორგანიზაციაზე მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ უარის თქმის საფუძველი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეორგანიზაციით არ მცირდება კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარი ან არსებობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა დავალიანების მქონე არასამენარმეო იურიდიული პირის რეორგანიზაციის შესახებ.

სამენარმეო იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესი მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

1. *ლიკვიდაციის პროცესის დანყება* – სანარმოს ლიკვიდაციის პროცესი იწყება სანარმოს პარტნიორების საერთო კრების გადანყვეტილებით ან სასამართლოს გადანყვეტილებით სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დანყების შესახებ. სასამართლოს გადანყვეტილებით სანარმოს ლიკვიდაცია იწყება ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ან იმ შემთხვევაში თუ სანარმო არ აკმაყოფილებს რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირობებს (ან პირობები მოგვიანებით ისპობა) და მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი (ან თუ ხარვეზის ხასიათიდან გამომდინარე საერთოდ შეუძლებელია მისი აღმოფხვრა). ამ უკანასკნელ შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო მიმართავს სასამართლოს სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დანყების მოთხოვნით.
2. *ლიკვიდატორების დანიშვნა* – პარტნიორების გადანყვეტილებით სანარმოს ლიკვიდაციისას, პარტნიორები, ასევე წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან ღირექტორს (ღირექტორებს), შეუძლიათ განსაზღვრონ ის პირები, რომლებიც ახორ-

ციელებენ ლიკვიდაციას (ლიკვიდატორები). სასამართლოს გადაწყვეტილებით სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისას ლიკვიდატორს (ლიკვიდატორებს) ნიშნავს სასამართლო.

3. ლიკვიდაციის პროცესი – ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება უნდა დარეგისტრირდეს მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან ითვლება დაწყებულად. ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს საგადასახადო ორგანოს. ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისას იწყება კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესი. სანარმომ (ლიკვიდატორმა) ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციისთანავე სანარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება პროცესი დაწყების შესახებ და მიუთითოს კრედიტორთა დაკმაყოფილების ვადები. სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 90-ე დღისა სანარმომ (ლიკვიდატორმა) უნდა დაინყოს სანარმოს ქონების რეალიზაცია, რომლიდანაც შემოსული თანხები უნდა განთავსდეს სასამართლოს ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. დეპოზიტზე განთავსებული თანხების ან მიბარებული ქონების პარტნიორთა შორის განაწილებამდე მათი განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზნით. ლიკვიდაციის პროცესის განმავლობაში დაუშვებელია სანარმოს ქონების გასხვისება, დატვირთვა ან კრედიტორთა საზიანოდ სხვა ქმედების განხორციელება, გარდა იმ შემთხვევებისა თუ რეალიზაცია ხდება თანხების შესაბამის დეპოზიტზე განთავსების ან/და კრედიტორების დაკმაყოფილების მიზნით.

ლიკვიდაციის პროცესის დასრულება და დარჩენილი ქონების განაწილება – კრედიტორების დაკმაყოფილების პროცესის დასრულების შემდეგ პარტნიორები საერთო კრებაზე ამტკიცებენ სანარმოს სალიკვიდაციო ბალანს და ხელს აწერენ გადაწყვეტილებას სანარმოს სალიკვიდაციო პროცესის დასრულების შესახებ, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს პერიოდულ გამოცემაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში. სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის ბოლო ეტაპია სანარმოს რეგისტრაციის გაუქმება. სანარმოს რეგისტრაციას აუქმებს მარეგისტრირებელი ორგანო სანარმოს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე უფლებამოსილი პირის განცხადებისა და უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ სანარმოს გაკოტრების საქმის წარმოების/ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების წარდგენის საფუძველზე. სანარმოს ლიკვიდაციის პროცესი უნდა დასრულდეს სანარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 4 თვისა. სანარმოს დარჩენილი დეპონირებული თანხები ან ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის მათი წილის პროპორციულად, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის დადგენილი.

IV. საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობის მცნება

"საგადასახადო კოდექსი" და "მენარმეთა შესახებ" კანონი კომერციული საქმიანობის სხვადასხვა განმარტებას გვთავაზობს. "მენარმეთა შესახებ" კანონის მიხედვით განსაზღვრულია სამენარმეო საქმიანობის მცნება და ფორმები, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ამავე თავში.

"საგადასახადო კოდექსი", "მენარმეთა შესახებ" კანონისგან განსხვავებით, ეკონომიკური საქმიანობის მცნებას იყენებს. ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა.

ეკონომიკურ საქმიანობას არ განეკუთვნება:

- სახელმწიფო ხელისუფლების, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მათთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების შესრულებასთან, გარდა ხელშეკრულების საფუძველზე ფასიანი მომსახურების განევისა;
- საქველმოქმედო საქმიანობა;
- რელიგიური საქმიანობა;
- დაქირავებით მუშაობა;
- ფიზიკური პირის მიერ ფულადი სახსრების განთავსება ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებსა და ანაბრებზე;
- საქმიანობის ან/და ოპერაციების სახეები ან/და ოპერაციების ერთობლიობა, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით.

2009 წლამდე საგადასახადო კოდექსით ეკონომიკური საქმიანობა იყოფოდა სამენარმეო და არასამენარმეო კატეგორიებად.

სამენარმეო ეკონომიკურ საქმიანობად ითვლებოდა "მენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობა.

არასამენარმეო ეკონომიკურ საქმიანობას განეკუთვნებოდა:

- დაქირავებით მუშაობა;
- ფულადი სახსრების განთავსება ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში;
- ქონების იჯარით გადაცემა
- ქონების მართვა მინდობილობით.

ცვლილებების შედეგად ეკონომიკური საქმიანობის სამენარმეო და არასამენარმეო კატეგორიებად დაყოფა არ ხდება.

"მენარმეთა შესახებ" კანონით განსაზღვრულია სამენარმეო საქმიანობის განმარტებული სუბიექტების ფორმები, ხოლო "სამოქალაქო კოდექსით" არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებისა და საქმიანობის სპეციფიკა. "საგადასახადო კოდექსი" ზემოთმოყვანილ სუბიექტებს აჯგუფებს შემდეგნაირად:

სანარმო - სანარმოდ ითვლება შემდეგი წარმონაქმნები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილი არიან ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად:

- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირები;
- უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაციები, კომპანიები, ფორმები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა იურიდიული პირის სტატუსი, აგრეთვე უცხოური სანარმოს მუდმივი დაწესებულება;

- გაერთიანებები, ამხანაგობები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები. სანარმოს არ განეკუთვნება ინდივიდუალური სანარმო.

ორგანიზაცია -ორგანიზაციად ითვლება შემდეგი წარმონაქმნები:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, აგრეთვე საზოგადოებრივი ან რელიგიური ორგანიზაციები (გაერთიანებები), დანესებულებები, რომლებიც არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ან შექმნილი არიან და მოქმედებენ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციების საქართველოში არსებული ფილიალები და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფები;

საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობათაშორისო, დიპლომატიური) ორგანიზაციები - საერთაშორისო სამართლით რეგულირებული ორგანიზაციები, საელჩოები, საკონსულოები, წარმომადგენლობები, უცხოური არასამეწარმეო ორგანიზაციები.

თუ ორგანიზაცია ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მისი ქონებისა და საქმიანობის ნაწილი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება მის ეკონომიკურ საქმიანობას, ითვლება სანარმოს ქონებად და საქმიანობად, ხოლო იმ ნაწილისათვის, სადაც ამის გამიჯვნა შეუძლებელია, ამ ნაწილში ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ქონებისა და საქმიანობის გამოანგარიშების მიზნით გამოიყენება ორგანიზაციის მიერ მიღებულ შემოსავალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილი.

მენარმე ფიზიკური პირი - მენარმე ფიზიკურ პირად ითვლება:

- ინდივიდუალური სანარმო - ფიზიკური პირი, თუ ის “მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით არის ინდივიდუალური მენარმე;
- ფიზიკური პირი, თუ ის ახორციელებს “მენარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას (ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა; სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოებები).

ფიზიკური პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება რეგისტრაციის, ლიცენზიის ან ნებართვის გარეშე არ არის ამ ფიზიკური პირის დაბეგრის მიზნით მისი მენარმე ფიზიკურ პირად არ ცნობის საფუძველი.

საგადასახადო კოდექსის თანახმად არაკომერციული იურიდიული პირის მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობა მიუხედავად სოციალური მიზნისა იბეგრება როგორც სანარმოს მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობა. სოციალური მენარმეობის განსხვავებულ რეჟიმში დაბეგრას არსებული საგადასახადო სისტემა არ ითვალისწინებს.

V. სოციალური მენარმეობის საგადასახადო რეგულირება

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ტერმინს "სოციალური მენარმეობა" და, შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით სოციალური მენარმეობა, ისევე როგორც სხვა ტიპის სამენარმეო საქმიანობა განიმარტება, როგორც ეკონომიკური საქმიანობა და მასზე განსხვავებული დაბეგვრის რეჟიმი არ ვრცელდება.

საგადასახადო კოდექსის თანახმად გადასახადი წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში სავალდებულო, უპირობო ფულად შენატანს, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია 6 გადასახადი, რომელიც მმართველობის დონის მიხედვით იყოფა:

საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადები - საგადასახადო კოდექსით დაწესებული გადასახადები, რომელთა გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ამ გადასახადებით მობილიზებული თანხები სრულად ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში და ხმარდება ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილების განხორციელებას. ესენია:

- საშემოსავლო გადასახადი;
- მოგების გადასახადი;
- დამატებული ღირებულების გადასახადი;
- აქციზი;
- საბაჟო გადასახადი.

ადგილობრივი გადასახადები - დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების ნორმატიული აქტებით შემოღებული გადასახადები (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომელთა გადახდა სავალდებულოა შესაბამისი სუბიექტების ტერიტორიაზე. ამ გადასახადებით მობილიზებული თანხები ირიცხება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში. ადგილობრივი გადასახადს მიეკუთვნება:

- ქონების გადასახადი

საგადასახადო კოდექსის მიხედვით მოცემულია გადასახადის გადამხდელი პირის განმარტება: გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელსაც აქვს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულება.

კოდექსი აგრეთვე განმარტავს საგადასახადო აგენტის მცნებას: საგადასახადო აგენტი არის პირი, რომელმაც საგადასახადო კოდექსით დადგენილ შემთხვევაში დადგენილი წესით უნდა შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება. საგადასახადო აგენტი უფლებათა და მოვალეობათა თვალსაზრისით გათანაბრებულია გადასახადის გადამხდელთან. შესაძლებელია მენარმე სუბიექტს, საგადასახადო კოდექსის თანახმად, ევალებოდეს რომელიმე გადასახადის დაკავება და ბიუჯეტში გადარიცხვა, მიუხედავად იმისა წარმოადგენს თუ არა ამ გადასახადის გადამხდელს. საქართველოში არსებული პრაქტიკის თანახმად მსგავს გადასახადს წარმოადგენს დაქირავებული ფიზიკური პირისათვის დასაკავებელი საშემოსავლო გადასახადი.

სამენარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში საწარმოს შესაძლებელია წარმოექმნას ზემოთ მოყვანილი გადასახადებიდან თითქმის ყველა გადასახადზე გადასახადის გადახდის ვალდებულება. ერთადერთი გადასახადი, რომლის გადამხდელი მხოლოდ ფიზიკური პირია, არის საშემოსავლო გადასახადი. თუმცა საწარმო, როგორც საგადასახადო აგენტი, ვალდებულია შემოსავლის გაცემის წყაროსთან მოახდინოს საშემოსავლო გადასახადის დაკავება და იმ დღესვე გადარიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

როგორც მე-3 თავში აღვნიშნეთ, საგადასახადო კოდექსი ეკონომიკური საქმიანობის განმარტებით სუბიექტებს, მიუხედავად მათი იურიდიული ფორმისა, ერთნაირად ბეგრავს.

განვიხილოთ საშემოსავლო, მოგების და ქონების გადასახადები ცალ-ცალკე.

საშემოსავლო გადასახადი

გადასახადის გადამხდელი	რეზიდენტი ფიზიკური პირი - პირი, რომელიც კალენდარული წლის განმავლობაში 183 და მეტი დღე იმყოფება საქართველოში
	არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან
	საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი განმარტებულია საგადასახადო კოდექსის 24 მუხლით
აბეგვრის ობიექტი	რეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის
	ერთობლივი შემოსავალს განეკუთვნება ნებისმიერი ფორმით ან/და საქმიანობით მიღებული ყველა შემოსავალი, კერძოდ: ა) ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები; ბ) ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან; გ) სხვა შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან.
	ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი
	ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავალს ძირითადად განეკუთვნება საქონლისა და მომსახურების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი. სხვა შემთხვევები განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსის 175 მუხლით
განაკვეთი	ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთი დიფერენცირებულია წლების მიხედვით
	2010-2012 წლები - 20 პროცენტი 2013 წელი - 18 პროცენტი 2014 წლიდან - 15 პროცენტი
დაბეგვრის სპეციფიკა	ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება: ფიზიკური პირის მიერ პირადი მოხმარებისათვის გაწეული ხარჯები, ლატარიებიდან, კაზინოებიდან (სამორინეებიდან), აზარტული ან სხვა მომგებიანი თამაშობებიდან მიღებულ მოგებებთან დაკავშირებული ხარჯები ან ხელფასის სახით შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები;
	მენარმე ფიზიკური პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან გამოიქვითება ყველა დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან.
	ხარჯების გამოქვითვასთან დაკავშირებული შეზღუდვები მოცემულია საგადასახადო კოდექსის 25-ე თავში

შეჯავათი	საგადასახადო კოდექსის 168 მუხლით ფიზიკური პირის შემოსავლის ნაწილი განთავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან.
	ძირითადად განთავისუფლება ეხება სოციალურად შეჭირვებული ფიზიკური პირების შემოსავალს, რომელიც წლის განმავლობაში არ აღემატება 3000 ლარს (დარიცხული). მაგ: პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდობის მქონე პირები, მრავალშვილიანი ოჯახები და სხვა
	საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლებულია იმ მენარმე ფიზიკურ პირთა შემოსავალი, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ახორციელებენ მხოლოდ "ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის" (NAEC) შესაბამისად განსაზღვრული ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური საქმიანობიდან ერთ-ერთს
	ეს კლასიფიკატორი ითვალისწინებს საქმიანობის სახეებს და გამოყენებული ფართის ზღვრებს კვადრატულ მეტრებში. მაგ: სამდივნო და თარგმნითი მომსახურების განევა 5 კვადრატულ მეტრამდე ფართში
	2008 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე საგადასახადო პერიოდების მიხედვით ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავლების ნაწილზე საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეადგენს 12%-ს. მათ, შორის გრანტი მიღებული სახსრებიდან გრანტის მიმღები ორგანიზაციის მიერ გაცემული ანაზღაურება. 2011 წელს ეს შეჯავათები უქმდება

2011 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო კოდექსში ხორციელდება მნიშვნელოვანი ცვლილებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მცირე და მიკრო ბიზნესის მცნებების შემოტანა. ეს ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მცირე ბიზნესის ხელშეწყობის კუთხით. თუმცა ხშირად საწინააღმდეგო მოსაზრებებიც ფიქსირდება.

მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლის მიხედვითაც მის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 30 000 ლარს. თუ ამ თანხას გავყოფთ დღეების რაოდენობაზე მივიღებთ 82 ლარიან ბრუნვას დღის განმავლობაში.

30 000 ლარიანი ზღვარი არ ვრცელდება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ საქმიანობის სახეებზე.

საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს იმ სფეროებს სადაც შეიძლება მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება, აგრეთვე მიღებულ უნდა იქნას იმ სფეროების ჩამონათვალი, რომელთაც მიკრო ბიზნესის სტატუსის მინიჭება არ ეკუთვნის. შესაბამისი სერთიფიკატის გაცემა მოხდება ფინანსთა სამინისტროს მიერ. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირს არ გააჩნია საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულება.

მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მენარმე ფიზიკურ პირს, რომლის ჯამური ბრუნვა კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 200 000 ლარს.

საქართველოს მთავრობას უფლება აქვს აკრძალოს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ ცალკეული საქმიანობის განხორციელება და მცირე ბიზნესის სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს ასეთი საქმიანობის ფარგლებში. საქართველოს მთავრობას უფლება აქვს განსაზღვროს შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით.

მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 5%-ით. თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკურ პირს აქვს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლის 60%-ის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები, მაშინ დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3%-ით.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკურმა პირმა უნდა აწარმოოს ხარჯების აღრიცხვის სპეციალური ყურნალი (მათ შორის ელექტრონული ფორმით), რომლის ნესები რეგულირდება

ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. ეს წესი ჯერჯერობით მიღებული არ არის. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მცირე ბიზნესის მქონე მენარმე ფიზიკური პირის მიერ გამოწერილი საბუღალტრო დოკუმენტში ასახული თანხა შემსყიდველს არ შეუძლია ხარჯებში გაატაროს. ამ ჩანაწერით ნათელია, რომ მცირე ბიზნესის მომხმარებელი კომერციული სტრუქტურები არ იქნებიან და ის ძირითადად საბოლოო მომხმარებელზე უნდა იყოს ორიენტირებული.

მოგების გადასახადი

გადასახადის გადამხდელი	საქართველოს სანარმო
	უცხოური სანარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დანესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან
	თუ იურიდიული პირი ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მაშინ ამ საქმიანობის ფარგლებში იგი ითვლება სანარმოდ და ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას
დაბეგვრის ობიექტი	მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი მოგება.
	იგი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის
	საგადასახადო კოდექსის 170 მუხლით გათვალისწინებული სხვადასხვა შემთხვევებისთვის დასაბეგრი მოგების მცნება
განაკვეთი	სანარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 15%-ით
	ნავთობისა და გაზის მოპოვების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებების ნაწილის შემთხვევაში მოგების გადასახადი შეადგენს 10 პროცენტს
დაბეგვრის სპეციფიკა	ერთობლივი შემოსავალს განეკუთვნება ნებისმიერი ფორმით ან/და საქმიანობით მიღებული ყველა შემოსავალი, კერძოდ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.
	რეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი შედგება მის მიერ საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლებისაგან.
	არარეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლებისაგან.
	ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავალს ძირითადად განეკუთვნება საქონლისა და მომსახურების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი. თუმცა საგადასახადო კოდექსის 175 მუხლით გათვალისწინებულია სხვა შემთხვევებიც. მაგ: აქტივების რეალიზაციით მიღებული სახსრები
	ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან
	გამოქვითვასთან დაკავშირებული რეგულაციები მოცემულია საგადასახადო კოდექსში. მაგ: ამორტიზაციის ნორმები ჯგუფების მიხედვით

შელავათი	მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტები, სანევრო შენატანები და შემოწირულობები;
	საბიუჯეტო, საერთაშორისო ან/და საქველმოქმედო ორგანიზაციების მოგება, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების გარდა
	სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომელიც მოხმარდება რეინვესტირებას (დაწესებულების რეაბილიტაცია, ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა) და თანამშრომელთა მატერიალურ ნახალისებას
	საგადასახადო კოდექსის 172 მუხლით განსაზღვრულია მოგების გადასახადისაგან განთავისუფლების შემთხვევები, რომლებიც სოციალური ტიპის წარმოებასთან კავშირში არ არის

მოგების გადასახადში სოციალური სტატუსის მქონე საწარმოებისათვის შელავათების დაწესება არ ხდება.

არსებობს დივიდენდით დაბეგვრის პრინციპში დისკრიმინაციული მიდგომაც: საქართველოს მოქმედი საგადასახადო კოდექსი და ახალი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს იდენტურ ნორმებს ერთი საწარმოს მიერ მეორე საწარმოდან მიღებული დივიდენდის დაბეგვრასთან დაკავშირებით. მოქმედი საგადასახადო კოდექსისა და 195-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ახალი საგადასახადო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი და სამენარმეო ამხანაგობისა) მიერ მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები საწარმოს მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება. გარდა ზემოაღნიშნულისა, ახალი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, ფიზიკური პირებისა (მათ შორის ინდივიდუალური მენარმე) და უცხოური საწარმოების მიერ საქართველოს საწარმოდან მიღებული დივიდენდები 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის – 5 პროცენტის განაკვეთით, 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე – 3 პროცენტის განაკვეთით, ხოლო 2014 წლის 1 იანვრიდან ნულოვანი განაკვეთით.

იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციები (საგადასახადო კოდექსის გაგებით) მათ შორის არასამენარმეო იურიდიული პირები არ წარმოადგენენ მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საწარმოებს, მათზე არ ვრცელდება საწარმოებისათვის დადგენილი საგადასახადო დაბეგვრა დივიდენდებთან დაკავშირებით. საგადასახადო კოდექსის (მათ შორის ახალი საგადასახადო კოდექსით) სხვადასხვა ნორმებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საწარმოს მიერ ორგანიზაციისთვის გადახდილი დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება, ამასთან, მიღებული დივიდენდი, როგორც ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი დივიდენდის მიმღები პირის მიერ შეიტანება ერთობლივ შემოსავალში და იბეგრება მოგების გადასახადის 15% განაკვეთით საერთო წესის შესაბამისად. ამასთან ერთად, თუ გადასახადის განსაზღვრული გადამხდელების მიერ მიღებული დივიდენდები 2014 წლის 1 იანვრიდან დაიბეგრება 0%-იანი განაკვეთით, არასამენარმეო იურიდიული პირების (ორგანიზაციების) მიერ მიღებულ დივიდენდზე განაკვეთი ყოველთვის იქნება 15%.

ქონების გადასახადი

გადასახადის გადამხდელი	<p>ქონების გადასახადის გადამხდელია ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე:</p> <ul style="list-style-type: none"> • საკუთრებაში ან არარეზიდენტისაგან ლიზინგით სარგებლობაში აქვს ამ გადასახადით დაბეგვრის ობიექტი; • კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა • ფაქტობრივ მფლობელობაში ან/და სარგებლობაში აქვს გარდაცვლილი პირის საკუთრებაში რიცხული დაბეგვრის ობიექტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფაქტობრივი მფლობელის მიერ ქონებით სარგებლობა ხორციელდება იჯარით, ქირით, უზუფრუქტით ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.
დაბეგვრის ობიექტი	<p>სანარმოსთვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები, დაუმონტაჟებული მონყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობა და არამატერიალური აქტივები, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონება</p> <p>ორგანიზაციისათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის ბალანსზე რიცხული ზემო პუნქტით განსაზღვრული ქონება ან ქონების ნაწილი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის</p> <p>ფიზიკური პირისთვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი), დაუმთავრებელი მშენებლობა ან/და იახტები (კატარლები), თვითმფრინავები, შვეულმფრენები. ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში იბეგრება ბალანსზე რიცხული ქონება.</p> <p>ყველა სუბიექტისთვის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:</p> <p>ა) საკუთრებაში არსებული მიწა;</p> <p>ბ) კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა.</p>
განაკვეთი	<p>ქონების განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის, დაბეგვრის ობიექტის და კონკრეტული თვითმმართველობის მიხედვით</p> <p>სანარმოსთვის/ორგანიზაციისთვის დასაბეგრ ქონებაზე, გარდა მიწისა, გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით.</p> <p>ფიზიკური პირისთვის დასაბეგრ ქონებაზე, გარდა მიწისა, გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:</p> <p>ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.05 პროცენტისა და არა უმეტეს 0.2 პროცენტისა;</p> <p>ბ) 100 000 ლარისა და მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.8 პროცენტისა და არა უმეტეს 1 პროცენტისა;</p>

განაკვეთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე 0,24 ლარის ოდენობით.
	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კონკრეტული მიწის ნაკვეთის გადასახადი გამოითვლება საბაზისო განაკვეთის ტერიტორიულ კოეფიციენტზე გამრავლებით. ამასთანავე, ეს ტერიტორიული კოეფიციენტი არ შეიძლება იყოს 1,5-ზე მეტი
	სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადო კონკრეტული თვითმმართველობისა და მიწის კატეგორიის მიხედვით განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსის 273 მუხლით. თვითმმართველობას შეუძლია კანონით განსაზღვრული განაკვეთის შემცირება 50 პროცენტამდე ან გაზრდა 150 პროცენტამდე.
დაბეგვრის სპეციფიკა	დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში უნდა გაიზარდოს: ა) 2000 წლამდე შესყიდულ აქტივებზე - 3-ჯერ; ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე შესყიდულ აქტივებზე - 2-ჯერ; გ) 2004 წელს შესყიდულ აქტივებზე - 1.5-ჯერ;
	საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია ქონების ფასის დადგენის განსხვავებული პირობები
	ქონების გადასახადის საგადასახადო პერიოდად ითვლება კალენდარული წელი
	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი გამოიანგარიშება გადასახადის განაკვეთის გამრავლებით მიწის ნაკვეთის ფართობზე (ჰექტარებში).
	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი გამოიანგარიშება კვადრატულ მეტრებში
	გადასახადის გაანგარიშებისა და ანგარიშგების წესები მოცემულია საგადასახადო კოდექსის 274-275 მუხლებში
შეღვათი	ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია: ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებისა), თუ ამ პირის ოჯახის მიერ მიმდინარე კალენდარული წლის წინა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ აღემატება 40 000 ლარს; მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში მცხოვრები ფიზიკური პირის თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტი (მიწის ნაკვეთი), რომლის ფართობი არ აღემატება 30 კვადრატულ მეტრს; 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული 5 ჰექტარამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები; საგადასახადო კოდექსის 276 მუხლით გათვალისწინებულია ქონების გადასახადისგან განთავისუფლების სხვადასხვა პირობები ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში საგადასახადო შეღვათები არ ვრცელდება

ქონების გადასახადთან მიმართებაში სოციალური მენარმეობისათვის რაიმე სახის ხელისშემწყობი დებულებები გათვალისწინებული არ არის. თუ ორგანიზაცია ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას მისი ქონება ან ქონების ნაწილი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისთვის იბეგრება საწარმოს ქონების მსგავსად.

VI. სოციალური სანარმოს ფინანსური აღრიცხვის სპეციფიკა

იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ეწევიან სამენარმეო საქმიანობას ვალდებული არიან აწარმოონ ბუღალტრული აღრიცხვა. საქართველოში აღიარებულია და გამოიყენება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, თუმცა გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდის მიზნით გამოიყენება საგადასახადო კოდექსი.

“მენარმეთა შესახებ” კანონის თანახმად დაფუძნებული მენარმე სუბიექტების საბუღალტრო აღრიცხვა ემყარება საბუღალტრო სტანდარტებს და კვალიფიციური ბუღალტრის არსებობის შემთხვევაში აღრიცხვასთან დაკავშირებული პრობლემები მინიმუმდება.

ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებით საქართველოში გამოიყენება 2 მეთოდი:

საკასო მეთოდი - გადასახადის გადამხდელმა, რომელიც იყენებს აღრიცხვის საკასო მეთოდს, შემოსავლები უნდა აღრიცხოს მათი მიღების ან გამოყენებისა და განკარგვის უფლების მოპოვების მომენტის და ხარჯების დაქვითვა მოახდინოს განაღდებას შემდეგ.

ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას შემოსავლების მიღების მომენტად ითვლება ნაღდი ფულის მიღების მომენტი, ხოლო უნაღდო წესით ანგარიშსწორებისას - ფულადი სახსრების ჩარიცხვა ბანკში გადასახადის გადამხდელის საანგარიშსწორებო ანგარიშზე ან სხვა ანგარიშზე, რომლის განკარგვის ან რომლიდანაც ამ სახსრების მიღების უფლება აქვს.

ნაღდი ფული ანგარიშსწორებისას გადასახადის გადამხდელის მიერ ხარჯის განევის მომენტად ითვლება ნაღდი ფულის გადახდის მომენტი, ხოლო უნაღდო წესით ანგარიშსწორებისას - ბანკის მიერ გადასახადის გადამხდელის საბანკო ან სხვა ანგარიშიდან თანხების ჩამონერის მომენტი.

დარიცხვის მეთოდი - გადასახადის გადამხდელის მიერ აღრიცხვაში დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას შემოსავლები და ხარჯები აღრიცხება გადასახადის გადამხდელის მიერ ამ შემოსავლების მიღების უფლების მოპოვების და ასეთი ხარჯების აღიარების მომენტის მიხედვით, შემოსავლების ფაქტობრივად მიღებისა და ხარჯების განევის მომენტის მიუხედავად.

გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლების მიღების უფლება მოპოვებულად ითვლება, თუ შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადასახადის გადამხდელისათვის გადახდას, ან თუ მან შეასრულა გარიგებით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

საქართველოში სანარმოების უმეტესობა იყენებს დარიცხვის მეთოდს, ხოლო არასამენარმეო იურიდიული პირების უმეტესობა საკასო მეთოდს.

პრობლემას წარმოადგენს არასამენარმეო იურიდიული პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის განევის შემთხვევაში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება. ეკონომიკური საქმიანობის წარმოების დროს უმჯობესია დარიცხვის მეთოდის გამოყენება, თუმცა აიპ-ები არაეკონომიკური საქმიანობის პროცესში საკასო მეთოდს იყენებენ. ორგანიზაციის დარიცხვის მეთოდზე გადასვლა საჭიროებს ბუღალტრისა და ფინანსური მენეჯერის კვალიფიკაციის ამაღლებას. შესაძლებელია საჭირო გახდეს ახალი სპეციალისტის დაქირავება.

აიპ-ების მიერ ეკონომიკური საქმიანობის წარმოების დროს აუცილებელია ეკონომიკური საქმიანობისათვის საჭირო ბუღალტრული დოკუმენტაცია ინარმოებოდეს და ინახებოდეს ცალკე. ხშირია პრობლემები ქვითრის გაყოფასთან დაკავშირებით. ეს ეხება კომუნალურ გადასახადებს, ბენზინის და საკომუნიკაციო ხარჯებს. ეს ქვითრები ერთად იწერება ორგანიზაციის სახელზე და ძალიან რთულია მისი მიკუთვნება კონკრეტული საქმიანობის სფეროსთვის.

გაანგარიშების აღნიშნული საკითხები ხშირად ხდება დავის საგანი საგადასახადო შემომნების დროს.

საგადასახადო კოდექსის თანახმად, თუ ვერ დგინდება ეკონომიკურის საქმიანობისთვის გამოყენებული ქონებისა თუ ხარჯების მოცულობა, შესაძლებელია შემოსავლების პროპორციული მეთოდის გამოყენება. ეს რიგ შემთხვევებში არაზუსტ მაჩვენებელს გვაძლევს.

აიპ-ის მიერ ეკონომიკურის საქმიანობის წარმოების პროცესში საგადასახადოს მიერ სანქციის დაკისრების შემთხვევაში შესაძლებელია გრანტით მიღებული თანხების ავტომატურ რეჟიმში ჩამოჭრა და ბიუჯეტში გადარიცხვა (იგულისხმება ინკასოს გამოყენება). ეს ქმედება კი პრობლემას უქმნის აიპ-ის დონორებთან.

პრობლემას წარმოადგენს ქონების გადასახადის გაანგარიშების პროცესიც. აიპ-ები, თუ არ ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას, განთავისუფლებული არიან ქონების (გარდა მიწისა) გადასახადისაგან. ეკონომიკური საქმიანობის წარმოების პროცესში საჭიროა დავადგინოთ ამ საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების ჩამონათვალი, რაც საკმაოდ რთულია, რადგან ქონების გარკვეული ნაწილი მოიხმარება ორივე საქმიანობის განსახორციელებლად. ამ შემთხვევაშიც უნდა მოხდეს შემოსავლების პროპორციული მეთოდის გამოყენება. აიპ-ების უმეტესობას ბალანსზე ქონების ნარჩენი ღირებულება არასწორად აქვს ასახული და ფასების ცვალებასთან ერთად არ აკეთებენ აფასებას/ჩამოფასებას. ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების დროს აუცილებელია ბალანსზე რიცხული ქონების ღირებულების საბაზრო ფასთან შესაბამისობაში მოყვანა, რადგან საგადასახადოს უფლება აქვს ქონება საბაზრო ფასით შეაფასოს და ისე გამოთვალოს ქონების გადასახადის მოცულობა.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აიპ-ის ფორმით ეკონომიკური საქმიანობის წარმოება საკმაოდ დიდ რისკებთანაა დაკავშირებული და უმჯობესია ეკონომიკური საქმიანობისთვის ცალკე სუბიექტი დაფუძნდეს "მენარმეთა შესახებ" კანონის მიხედვით. კანონის თანახმად მენარმე სუბიექტის დაფუძნება შეუძლია აიპ-საც. ერთადერთი პრობლემა, რომელსაც ვხვდებით ამ მოდელის გამოყენების დროს არის დივიდენდის სახით მიღებული მოგების ხელმეორედ დაბეგვრასთან დაკავშირებით. (დეტალურად იხილეთ საგადასახადო რეგულირების პუნქტი).

VII. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს სოციალური მენარმომის გათვალისწინების შესაძლებლობა

სოციალური მენარმომის ხელისშემწყობ ღონისძიებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების დროს ამ სტატუსის მქონე სუბიექტების წახალისებაა. მსგავსი ქმედება საჭიროებს მნიშვნელოვან გაანალიზებას, რათა არ მოხდეს თავისუფალი კონკურენციის პირობების შელახვა.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების რეგულირებას ახდენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი "შესყიდვების სააგენტო". მარეგულირებელ ნორმატიულ ბაზას წარმოადგენს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონი და ამ კანონის საფუძველზე მიღებული "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ" წესი.

კანონმდებლობის მიზანია:

- სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების განწესა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება.

შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი შესაძლებელია იყოს არასამენარმო იურიდიული პირი.

ამ სფეროს რეგულირება აგრეთვე ეხება "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს", რომელიც 2010 წელს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში აღებული ვალდებულების თანახმად საქართველოს ხელისუფლებამ ეს სააგენტო 2010 წლის ბოლომდე უნდა აღჭურვოს შესაბამისი უფლებამოსილებებით.

"თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის" შესახებ საქართველოს კანონის თანახმად სააგენტოს ევალება საქართველოში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციისათვის ბარიერების მოხსნა.

უნდა მოხდეს გაანალიზება თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს სოციალური სანარმოსათვის სახელმწიფო შესყიდვების პროცესში უპირატესობის მინიჭება თავისუფალი ვაჭრობის ხელისშემშლად. ეს საკმაოდ სადავო საკითხია.

საქართველოში ტენდერების გამოცხადების შემთხვევაში ხდება ისეთი პირობების დადგენა, რომლებიც თავისი შინაარსით, შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციულად. მაგალითად: ტენდერის პირობად იდება გამარჯვებული კომპანიის მიერ სამუშაოების წარმოების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება. ეს სახელმწიფო პოლიტიკას წარმოადგენს.

თუ სახელმწიფო სტრატეგიის ნაწილი გახდება სოციალური მენარმომის ხელშეწყობა, შესაძლებელია შესყიდვების განხორციელების პროცესში სოციალური სანარმომების წახალისება.

VIII. ქირითაღი ღასკვნაზი

საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზა არ ახდენს სოციალური მენარმეობის განვითარების სტიმულირებას, თუმცა იგი სოციალური მენარმეობით დაინტერესებულ პირებს მეტ-ნაკლებად აძლევს შესაძლებლობას განახორციელონ მსგავსი ინიციატივები.

სოციალური მენარმეობით დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, როგორც არასამენარმეო იურიდიული პირებს, აქვთ უფლება საკუთარი ორგანიზაციის ბაზაზე აწარმოონ დამხმარე ხასიათის ეკონომიკური საქმიანობა, ან დააფუძნონ ცალკე სამენარმეო სუბიექტი.

სოციალური მენარმეებს აგრეთვე აქვთ საშუალება დააფუძნონ საწარმო სამენარმეო იურიდიული პირის ფორმით, და წესდებით განსაზღვრონ სოციალურ მიზნებთან დაკავშირებული საკითხები.

არასამენარმეო იურიდიული პირების ბაზაზე ეკონომიკური საქმიანობის წარმოება უნდა ატარებდეს დამხმარე ხასიათს და იგი არ უნდა გადავიდეს არსებითად სამენარმეო საქმიანობაზე. თუმცა კანონმდებლობა არ განმარტავს, თუ რას ნიშნავს "არსებითად სამენარმეო საქმიანობაზე გადასვლა" და შესაძლოა ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბის ზრდისას ორგანიზაციები აღმოჩნდნენ რისკის ქვეშ.

არასამენარმეო იურიდიული პირის მიერ საწარმოდან მიღებული დივიდენდი ექცევა დისკრიმინაციულ დაბეგრის რეჟიმში. კერძოდ, მის მიერ მიღებული დივიდენდი იბეგრება 15% მოგების გადასახადით, მაშინ, როცა საქართველოს ერთი საწარმოს მიერ მეორე საწარმოდან მიღებული დივიდენდი საერთოდ არ იბეგრება. გარდა ამისა, ფიზიკური პირებისა და უცხოური საწარმოების მიერ საქართველოს საწარმოდან მიღებული დივიდენდი იბეგრება დაბალი საგადასახადო განაკვეთით, ხოლო 2014 წლიდან იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.